პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკი ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა. 3 ნოემბერი 1935 წ. № 255 4412

საბჭოთა მაღაზიების მუშაკებო! იბრძოლეთ საბჭოთა მოქალაქეების საჭიროებათა და მოთხოვნათა სრული და კულტურული დაკმაყოფილებისათვის, საქონლის სიუხვისათვის მაღაზიებში!

ფართოდ გავშალოთ საბჭოთა ვაჭრობა!

ამხანაგი სტალინი ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან საუბარში აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ და სოციალისტურ მეურნეობებს სრულიად სხვადასხვა შინაგანი მამოძრავებელი მოტივი აქვთო. ეს დებულება ემყარება იმას, რომ კაპიტალისტური და საბჭოთა მეურნეობის სისტემები სულ სხვადასხვა ბუნებისა და მათ შორის პრინციპული განსხვავება არსებობს.

კაპიტალისტური მეურნეობის განუსაზღვრელი მიზანია ზედმეტი ღირებულება, მოგების მაღალი ნორმა. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოება არსებობს წარმოებისათვის, ე. ი. ზედმეტი ღირებულების შექმნისათვის, და არა მოხმარებისათვის. კაპიტალისტი ხელს მკიდებს მხოლოდ ისეთ წარმოებას, რომელიც მოგებას აძლევს მას. სწორედ მოგების მაღალი ნორმაა კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელი იმპულსი. ცხადია, სხვანაირად შეუძლებელია იყოს იქ, სადაც წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს უპირისპირდება კერძო კაპიტალისტური მითვისება.

სრულებით სხვა გზით, სავსებით სხვა შინაგანი კანონით ვითარდება საბჭოთა ეკონომიკა. მისი შინაგანი მამოძრავებელი მოტივია არა მოგების ნორმა, არა ზედმეტი ღირებულება, რაც არ არსებობს პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში. ჩვენში წარმოების მიზანია საზოგადოებრივი კეთილდღეობა, მშრომელთა პირობების განუხრელად გაუმჯობესება, სოციალიზმის მატერიალური საფუძვლების განვითარება—განმტკიცება, სოციალისტური დაგროვება. ჩვენში წარმოების მიზანი მოხმარებაა, ხოლო მოხმარება გულისხმობს ფართო მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზრუნვა ადამიანზე, კაცობრიობის ამ ყველაზე უფრო ძვირფას კაპიტალზე,—აი, სოციალისტური წარმოების განვითარების აზრი.

სოციალისტური მეურნეობის ჩქარი განვითარება გულისხმობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას. საბჭოთა საქონელი უხვად მრავლდება, იზრდება სოციალისტური დოვლათი. განუხრელად იზრდება მუშათა კლასის ხელფასის ფონდი, კოლმეურნე და მშრომელი გლეხობის შემოსავალი. ამავე დროს მცირდება საზოგადოებრივ პროდუქტთა ფასები. მაგალითად, 1933 წ. მარტიდან 1935 წ. ივნისამდე სასურსათო პროდუქტების ფასები შემცირდა 65 პროცენტით. საბჭოთა საქონელს მშრომელნი იღებულობენ უფრო იაფად და უფრო მეტი რაოდენობით.

არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შეიძლება საქონლის ფასის შემცირებაზე ლაპარაკი, თუ არ იფეთქა კრიზისმა. იქ უნიადაგო ოცნებაა ფიქრი მუშების და მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კაპიტალისტურ საქონელზე ფასის დაცლება, სხვა თანაბარ პირობებში ნიშნავს მოგების შემცირებას. ის საზარალოა კაპიტალისტთა უძირო ჯიბისთვის. მათი არსებითი ინტერესის, მეორე მხრივ, მუშათა ხელფასის ზრდა უშუალო გავლენას ახდენს კაპიტალისტურ მოგებაზე, ამცირებს მას. არც საქონელზე ფასის დაწევა, არც ხელფასის გადიდება,—ფასების გადიდება, მეორის შემცირება—აი, ასეთია კაპიტალისტის საბრძოლო ლოზუნგი.

გერინგი, მაგალითად, აცხადებს გერმანიაში, რომ მუშების ხელფასის მომატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტიაო. მონოპოლისტური კაპიტალიც ამცირებს მუშათა ხელფასს! ხელოვნურად ადიდებს პროდუქტების ფასებს. მაგალითად გერმანიაში 1933 წლის აპრილიდან 1935 წლის ივნისამდე კარაქის ფასი გაიზარდა 36,5 პროცენტით, კარტოფილის—43,5 პროც. ამერიკის შეერთებულ შტატებში კარაქის ფასი გადიდდა 35 პროც. ღორის ხორცისა და ქონისა—60 პროც. მსგავსი მდგომარეობაა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

სულ სხვა სურათია სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში.

გაშლილი საბჭოთა ვაჭრობა, „ვაჭრობა დიდი და პატარა კაპიტალისტების გარეშე, ვაჭრობა დიდი და პატარა სპეკულანტების გარეშე“, როგორც ამბობს ამხანაგი სტალინი, არის მასების მოთხოვნილების ყოველმხრივი და სრული დაკმაყოფილების საშუალება. გაშლილი საბჭოთა ვაჭრობისათვის შექმნილია ყოველგვარი პირობა—წარმოებისა და მოთხოვნილების ფართო მასშტაბი. ყველა კოლმეურნე შეძლებული უნდა გახდეს, ხოლო შეძლებულობა „უფრო მეტად ეხება მუშებს, ვინაიდან ჩვენ გვინდა გადავაქციოთ ყველა მუშა შეძლებულად, ისეთ ადამიანებად, რომლებიც ეწევიან შეძლებულ და სავსებით კულტურულ ცხოვრებას“ (სტალინი).

საკოლმეურნეო ვაჭრობა არის გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი „მაგისტრალური არხი“ ქალაქის მოსახლეობის სასურსათო პროდუქციით მომარაგებისათვის. საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო ვაჭრობის ხვედრითი წონა საქონელბრუნვის 20 პროცენტს აღემატება.

საკოლმეურნეო ვაჭრობაში საპატიო ადგილი უჭირავს საკოლმეურნეო ბაზრობას, რომელიც ეწყობა პერიოდულად და უდიდეს როლს თამაშობს ქალაქსა და სოფელს შორის საქონლბრუნვის გაძლიერებაში, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების შემდგომ შემცირებაში.

ტფილისსა და სოხუმში სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო ბაზრობა დამთავრდა. ახლა ამ ქალაქებში მიმდინარეობს ოქტომბრის სადღესასწაულო ბაზრობა. საქართველოს 9 პუნქტში კი 28 ოქტომბრიდან დაიწყო სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო და საოქტომბრო ბაზრობა.

ტფილისის სარაიონთაშორისო ბაზრობის შედეგები ადასტურებს, რომ სუსტად იყო გაშლილი მასობრივი მუშაობა. კოლმეურნეობების ორგანიზებული გამოსვლისათვის. პირველი ექვსი დღის განმავლობაში ბაზრობაზე 9 რაიონიდან მხოლოდ 110 კოლმეურნეობამ მიიღო მონაწილეობა. სავაჭრო ორგანიზაციებმა არ გაშალეს სასურსათო საქონლის ვაჭრობა (ხილის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების). ამიტომაც ფასები ისეთი ტემპებით არ შემცირებულა, როგორც მოსალოდნელი და აუცილებელი იყო.

სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო ბაზრობა უნდა გადაიქცეს ფასების შემდგომი შემცირების მძლავრ ფაქტორად. იგი ისე უნდა ჩატარდეს, რომ შემდეგში ფასები აღარ დაუბრუნდეს ბაზრობის წინა პერიოდის დონეს.

საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების საბოლოო გამარჯვებით საბჭოთა კავშირში მოისპო სპეკულაციის ბაზა. მაგრამ ჯერ კიდევ მოიპოვებიან ჩარჩ-ვაჭრების და სპეკულანტების ნარჩენები. ისინი ცდილობენ ხელი შეუშალონ საქონელბრუნვის განვითარებას სოფელსა და ქალაქს შორის, გამოიყენონ საბჭოთა ვაჭრობა პირადი, სპეკულაციური ინტერესებისათვის. უნდა გავშალოთ მათ წინააღმდეგ გამახვილებული ბრძოლა. სავაჭრო ორგანიზაციებმა კი მტკიცედ უნდა უზრუნველყონ საბჭოთა ფასების პოლიტიკის ურყევად გატარება.

ბამბის დამზადების გეგმა შესრულებულია

1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმა საქართველოში შესრულებულია ვადამდე—2 ნოემბერს. დამზადებულია 4.713 ტონა. ე. ი. გეგმის 102 პროცენტი. მთელი დამზადებული ნედლი ბამბიდან 99.6 პროც. პირველი ხარისხისაა. დამზადება გრძელდება.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემის გამოშვება

ლენინგრადი, 1 ნოემბერი. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის პარტგამომცემლობის ლენინგრადის წარმომადგენლობამ დაამთავრა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემის დამატებითი გამოშვება, რომელიც დაიწყო 1934 წლის დამლევს სრამბა „პერიოდიკაში“. ამ გამოშვების საერთო ტირაჟი 5.291 ათასი ეგზემპლარი. ლენინის თხზულებათა დამატებითი გამოშვების საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ტის მიერ დაწესებული ტირაჟი მთლიანად აკმაყოფილებს თხზულებათა ხელისმომწერთ და შესაძლოდ ხდის ლენინის წიგნების შეძენას ინდივიდუალური შეკვეთის წესით, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის წესით (კომპლექტებად და ცალკე ტომების მიხედვით) პარტგამომცემლობისა და „კოგიზის“ სავაჭრო ქსელში (ადს).

დარბაზობა საბჭოთა სპორტულ დელეგაციის პატივსაცემად

სტამბოლი, 31 ოქტომბერი. საბჭოთა სასპორტო დელეგაცია მან ცოვის მეთაურობით ინახულა ანკარა და იზმირი და საბჭოთა კავშირისკენ გამობრუნებული — ხელახლა ჩამოვიდა სტამბოლში. დღისით სტამბოლის მუნიციპალიტეტმა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად ბანკეტი გამართა.

საღამოს სსრ კავშირის გენერალურმა კონსულმა სტამბოლში ამხ. გაიკისმა გამოსათხოვარი დარბაზობა გამართა (ადს).

ალიოხინ-ეივეს მატჩი

ამსტერდამი, 1 ნოემბერი. დამთავრდა ყაიმით მე-59 სვლაზე ალიოხინ-ეივეს მატჩი მსოფლიო ჩემპიონობაზე ჭადრაკის თამაშში. მატჩის მდგომარეობა ასეთია: 7:6 ალიოხინის სასარგებლოდ (ადს).

იაპონიის ახალი მოთხოვნები

მუსოლინი იტალიის წინააღმდეგ სანქციების შესახებ

რომი, 31 ოქტომბერი. როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, საუნივერსიტეტო ქალაქის გახსნის დროს მუსოლინიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც შეეხო საკითხს—თუ როგორ უნდა გამოეხმაუროს იტალიის საზოგადოებრივი აზრი იტალიის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიურ სანქციებს. მუსოლინიმ განაცხადა: „ეკონომიურ ბლოკადას, რომელსაც იტალიის წინააღმდეგ ამზადებენ“, იტალია „უპასუხებს სასტიკი წინააღმდეგობის გაწევით და მტკიცე გადაწყვეტილებებით“ (ადს).

სანქციები იტალიის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ჩილის მთავრობა დათანხმდა მიიღოს მონაწილეობა ეკონომიურ და ფინანსიურ სანქციებში იტალიის წინააღმდეგ, მაგრამ უარი სთქვა იტალიიდან იმპორტის აკრძალვაზე, ვინაიდან ეს იქნებოდა იტალიისა და ჩილის შორის არსებული სავაჭრო შეთანხმების საწინააღმდეგო აქტი (ადს).

ინგლისის ფლოტი რჩება ხმელთაშუა ზღვაზე

(ტელეფონით „პრავდის“ პარიზელ კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 1 ნოემბერი. ინგლისის მთავრობამ თავისი რომაელ ელჩის მეშვეობით აცნობა მუსოლინის—ამჟამად შეუძლებელია მ-მაჩნია ხმელთაშუა ზღვაზე ინგლისის საზღვაო ძალები შევამციროთ. ამასთან ინგლისის მთავრობამ აღნიშნა, რომ ტრიპოლიდან იტალიის მარტო ერთი დივიზიის გაყვანა მას არ აკმაყოფილებს.

ლონდონში მყოფმა ფრანგმა სამხედრო-საზღვაო ექსპერტებმა ინგლისის საზღვაო შტაბის უფროსთან, ადმირალ ჩეტფილდთან გამართულ საუბრიდან შეიტყვეს, ინგლისელები მოითხოვენ არა მარტო იმას, რომ ინგლისის ფლოტის განკარგულებაში გადაცემულ იქნას საფრანგეთის საზღვაო ბაზები ხმელთაშუა ზღვაზე (ლაპარაკია უწინარეს ყოვლისა ტულონსა და ბიზერტაზე), არამედ იმასაც, რომ დაუყოვნებლივ იქნას მიღებული მოსამზადებელი ზომები საფრანგეთის სამხედრო გემების მიერ ინგლისის ფლოტისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ფრანგი ექსპერტები გაეცნენ ინგლისის წინადადებებს და დარწმუნდნენ, რომ ინგლისელთა მიერ წამოყენებული ზომები ფაქტიურად ნიშნავს საფრანგეთის ფლოტის ნაწილობრივი მობილიზაციის უკვე ახლავე გატარებას. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ არც მათ, არც საფრანგეთის საზღვაო სამინისტროს არ შეუძლიათ გადასწყვიტონ ასეთი საკითხი მთავრობასთან შეუთანხმებლად.

შემდგომი მოლაპარაკება შეწყდა. დღის ფრანგი სამხედრო-საზღვაო ექსპერტები პარიზს ბრუნდებიან.

ამხ. ტელმანის საქმის გარჩევა მოხდება ნოემბრის შუა რიცხვებში

ვენა, 2 ნოემბერი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო საქმის გაცნობილ წრეებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით იუწყება, რომ ამხ. ტელმანის პროცესი შესდგება ამ ნოემბრის შუა რიცხვებში (ადს).

მოთხოვნები

ბეიპინი, 1 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იაპონიის სამხედრო ატაშემ ბეიპინში ტაკაჰასიმ ჩინეთის ხელისუფლებას წარუდგინა 7 ახალი მოთხოვნა, რომელთაგან გამოქვეყნებულია შემდეგი 5 მოთხოვნა:

1. ბეიპინის ქალაქის თავის თუანლიანის გადაყენება.
2. უახლოეს მომავალში სამხედრო საბჭოს ბეიპინის განყოფილების ლიკვიდაცია.
3. შან ჩენის მიერ ბოდიშის მოხდა ტადას წინაშე იმ ინციდენტისათვის, რომელიც 4 აგვისტოს ლუანჯოუში მოხდა.
4. ლუანჯოუში მოკლული ცუ ჯოუს ოჯახისათვის კომპენსაციის მიცემა.
5. დაპატიმრება და დასჯა მთელი რიგი პირებისა, რომლებზეც ეჭვობენ, რომ ლურჯხალათიანების ორგანიზაციას ეკუთვნიან, მათ შორის რამდენიმე ოფიცერისა, რომელიც ბეიპინის მუნიციპალურ მმართველობაში მსახურობენ. ხმები დადის, რომ წარდგენილ იქნა აგრეთვე მოთხოვნა დემილიტარიზებული ზონის გაფართოებისა ბეიპინის მიმართულებით (ადს).

ვან ძინ-ვეიზე თავდასხმის მონაწილეთა დაპატიმრება

ტოკიო, 1 ნოემბერი. სიმბუნ-რენგოს სააგენტო თავისი ნანკინელი კორესპონდენტისაგან მიღებული ოფიციალური ცნობის თანახმად უარყოფს წინანდელ ცნობას ვან ძინ-ვეის გარდაცვალების შესახებ და აღნიშნავს, ვან ძინ-ვეის მდგომარეობა კრიტიკულიაო.

ჩინეთის პოლიციამ თავდასხმის ადგილას დააპატიმრა სამი პირი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სროლაში. ერთი დაპატიმრებულთაგანი სუნ მინ-მუნი არის „ჩენგუანის“ დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი. თავდასხმის მონაწილეთა გარდა, დაპატიმრებულია 6 კაცი.

ვან ძინ-ვეიზე თავდასხმის მიზეზები

ტოკიო, 1 ნოემბერი. თუმცა ვან ძინ-ვეიზე თავდამსხმელი უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, — სწერს სიმბუნ-რენგოს სააგენტო, — მაგრამ თავდასხმის პირობების მიხედვით იგი უეჭველად ჩადენილია პოლიტიკური მოტივებით და პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ დაგმეს ნანკინის იაპონოფილური პოლიტიკა, რომლის ინიციატორად და მთავარ მომხრედ ვან ძინ-ვეი ითვლებოდა.

აღმასრულებელი იუანის (საბჭოს) თავმჯდომარის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ვან ძინ-ვეის ნაცვლად დაინიშნა ფინანსთა მინისტრი კუნ სიან-სი.

შანხაი, 1 ნოემბერი. „შანხაი ივნინგ პოსტის“ ნანკინელი კორესპონდენტის გადმოცემით, ვან ძინ-ვეიზე თავდასხმა, რაც გომინდანის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის გახსნის საზეიმო პირობებში მოხდა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პლენუმის წევრებსა, ჩინეთის პრესის წარმომადგენლებსა და გომინდანის საზოგადოებრიობაზე. თავდასხმა მოხდა რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც კი ვან ძინ-ვეიმ გახსნა პლენუმი და განაცხადა. პლენუმში ჩამოსულ აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა შორის ჩნდა მოწოდებით საუბარი, „პარტიისა და ქვეყნის სოლიდარული შემჭიდროების“ ბრწყინვალე დამადასტურებელ საბუთსო (ადს).

მუნიციპალური არჩევნები ინგლისში

ლონდონი, 2 ნოემბერი. მუნიციპალურ არჩევნებში, რეიტერის სააგენტოს წინასწარი ცნობებით, რომლებიც დაახლოებით 100 დიდ ცენტრს შეეხება, კონსერვატორებმა მიიღეს 60 ადგილი და დაჰკარგეს 18, ლიბერალებმა შესაბამისად—10 და 12, ლეიბორისტებმა მიიღეს 36 და დაჰკარგეს 60 ადგილი, ხოლო „დამოუკიდებელმა“ კანდიდატებმა მიიღეს 20 და დაჰკარგეს 26 ადგილი. მხოლოდ კონსერვატორებმა გაადიდეს თავისი მანდატების რიცხვი 42-ით. ლიბერალებმა დაჰკარგეს ორი მანდატი, ლეიბორისტებმა—24, ხოლო „დამოუკიდებლებმა“—6 მანდატი.

ლონდონი, 2 ნოემბერი. მუნიციპალური არჩევნების შედეგები პროვინციაში ნაკლებად სანუგეშოა ლეიბორისტებისათვის, რომლებმაც უკანასკნელი ცნობებით, დაჰკარგეს 93 ადგილი და მოიპოვეს 74, მაშინ როცა კონსერვატორებმა მოიგეს 30 ადგილი. ლეიბორისტებმა უმრავლესობა შეინარჩუნეს 31 მუნიციპალურ საბჭოში, მაგრამ სამაგიეროდ მათ დაჰკარგეს უმრავლესობა ისეთ მნიშვნელოვან ცენტრებში, როგორიცაა ლიდსი და საფეიქრო მრეწველობის ცენტრი ოლდჰემი. დამახასიათებელია, რომ ლეიბორისტები განსაკუთრებით დამარცხდნენ სამხედრო და საფეიქრო მრეწველობის ცენტრებში, ხოლო ადგილები მოიპოვეს მთელ რიგ ტრადიციულ კონსერვატიულ ქალაქებში, როგორიცაა ოქსფორდი, ბრაიტონი და სხვ.

როჩდეილში კომუნისტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უდრის დაახლოებით ლეიბორისტებისათვის მიცემული ხმების 33 პროცენტს კენტიშში, ლონდონის პროლეტარულ რაიონში, ამ ხმების რაოდენობა უდრის 25 პროცენტს (ადს).

„რევოლუციური პოლიტიკის კომიტეტის“ მანიფესტი

ლონდონი, 1 ნოემბერი. „რევოლუციური პოლიტიკის კომიტეტმა“, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დამოუკიდებელი მუშათა პარტიის უმეტესად რევოლუციური ელემენტები, რომელთაც კავშირი გასწყვიტეს დამოუკიდებელ მუშათა პარტიასთან და განაცხადეს, განზრახვა გვაქვს ვიშუამდგომლოთ კომპარტიაში მიღების შესახებო, გამოაქვეყნა შემდეგი მანიფესტი:

„რევოლუციური პოლიტიკის კომიტეტი“, რომელიც დამოუკიდებელი მუშათა პარტიის უფრო მოწინავე სექცია არის, 4 წლის განმავლობაში ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ პარტია მოებრუნებინა მარქსიზმის პრინციპებზე დამყარებული რევოლუციური ბრძოლის გზისკენ. „რევოლუციური პოლიტიკის კომიტეტი“ ამ მიმართვით გამოდის იმიტომ, რომ დამოუკიდებელი მუშათა პარტიის პოლიტიკას მივყევართ მუშათა კლასის გათიშვისკენ და იგი რეაქციას უკაფავს გზას. კომუნისტური პარტია კომუნისტური ინტერნაციონალის სხვა სექციებთან ერთად სათავეში უდგას ომის და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას და საქმით ამტკიცებს, რომ მუშათა მოძრაობის გაერთიანება შესაძლებელია. ამჟამად ძირითადი ამოცანა ინგლისში არის ნაციონალური მთავრობის დამხობა. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყველა პროგრესიული ელემენტის ძალთა გაერთიანებით ხელისუფლების სათავეში მეხამე ლეიბორისტული მთავრობის ჩაყენებით, რომელიც მასების ზეგავლენით შეიძლება კლასობრივი ბრძოლის გზით წაიყვანოთ. დამოუკიდებელი მუშათა პარტია ცდილობს ყველა რაიონში მომავალ არჩევნებზე გათიშოს ამომრჩევლები ნაციონალური მთავრობის წინააღმდეგ. ამგვარად დამოუკიდებელი მუშათა პარტია არღვევს ერთიან ფრონტს, რეაქციის სასარგებლოდ მუშაობს და გზას უკაფავს ნაციონალური მთავრობის ახალ პერიოდს, მთავრობის, რომლის მიზანიც არის იმპერიალისტური ომი და ანტი-მუშური კანონმდებლობა. ახლანდელი კრიტიკულ მომენტში ჩვენ ვაცხადებთ, რომ მხარს უჭერთ აბისინიის ხალხს და ყველა სხვა დამონებულ ხალხებს, თავიანთი დამოუკიდებლობისათვის რომ იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირს სოციალიზმის წარმატებით მშენებლობაში, რაც მთელი ქვეყნის მუშებისათვის მაგალითს წარმოადგენს, აღაფრთოვანებს მათ და არის გამოწვევა მთელი კაპიტალისტური მსოფლიოსი. ჩვენ ვიზიარებთ აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მშვიდობიანობის დასაცავად და რომელიც ამგვარად მთელი მსოფლიოს რევოლუციურ მოძრაობას უწევს დახმარებას“.

დასასრულ კომიტეტი მოუწოდებს ყველა მუშას განამტკიცონ მუშათა კლასის ერთადერთი რევოლუციური ხელმძღვანელობა — კომუნისტური პარტია.

კონკურსი მრეწველობის გეგმების საუკეთესოდ შესრულებაზე

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოთა შორის, აგრეთვე რაიონულ მრეწველობის საწარმოთა შორის, რომელნიც ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შედიან, აცხადებენ კონკურსს 1935 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით საუკეთესოდ შესრულებაზე როგორც რაოდენობრივი, ისე ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობს საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი ყველა საწარმო მძიმე, მსუბუქი, სატყეო, კვებისა და რაიონული მრეწველობისა.

ძირითადად საწარმოთა მუშაობის შეფასების დროს საკონკურსო კომისია იხელმძღვანელებს საუკეთესო მიღწევებით შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით.

1. 100 პროცენტით და გადაჭარბებით შესრულება წლიური პროდუქციის გეგმისა როგორც ნატურალური, ისე ფასეულობითი გამოხატულებით.
2. გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.
3. თვითღირებულების შემცირება.
4. შრომის ნაყოფიერების გადიდება.
5. საუკეთესო გაშლა მუშაობისა დამკვრელებს და ფრიადოსნებს შორის და სტახანოვური მოძრაობის ორგანიზაცია.
6. ბრძოლა რენტაბელობისათვის და საწარმოს საფინანსო მაჩვენებლები.
7. კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულება.
8. ტექნიკური სწავლა და ტექნიკის დაუფლება.
9. ადმინისტრაციულ სამეურნეო და სხვა დანართი ხარჯების შემცირება.
10. მუშათა კულტურული და ყოფაცხოვრებითი მომსახურების საუკეთესოდ მოწყობა.

მძიმე და სატყეო მრეწველობის საწარმოებისათვის გამოყოფილია შემდეგი სამი პრემია:

პირველი — 25.000 მანეთი და ერთი მსუბუქი ავტომანქანა.
მეორე — 15.000 მან.
მესამე — 10.000 მან.

მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის:

პირველი — 25.000 მანეთი და ერთი მსუბუქი ავტომანქანა.
მეორე — 15.000 მან
მესამე — 10.000 მან.

რაიონული მრეწველობის საწარმოთათვის:

პირველი — 15.000 მანეთი და ერთი სატვირთო მანქანა.
მეორე — 10.000 მან.
მესამე — 5.000 მან.

ფულადი პრემიები გადაიცემა სათანადო საწარმოთა სამეთაურო განკარგულებაში მუშათა მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების გასაუმჯობესებლად და საუკეთესო სტახანოველთა, ფრიადოსანთა, დამკვრელთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა დასაჯილდოებლად, ხოლო ავტომანქანები საწარმოთა განკარგულებაში.

კონკურსში რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ აჭარისტანისა, აფხაზეთისა და ტფილისის საწარმოები.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონული საწარმოები შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ რაიაღმასკომის იმ საწარმოების თანაბრად, რომელნიც საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შედიან.

რაიონული მრეწველობის მუშაობის შეფასება მოხდება როგორც ცალკეული საწარმოების, ისე რაიონული მრეწველობის მთლიანი შედეგის მიხედვით.

საკონკურსო კომისიის ყველა მასალა უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 1936 წლის 20 იანვრისა.

ყოველ საწარმოში ჩამოყალიბდება კონკურსისათვის ხელმშემწყობი კომისია.

კონკურსის შედეგის საბოლოოდ შესაფასებლად და პრემიის მისასჯელად არსდება კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი—ამხ. **ყურულაშვილი** (თავმჯდ.)

ამხ. **ჯავახიძე** (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის სამრეწვ. განყ.)

ამხ. **გობეჩია** (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტი).

ამხ. **პუგაჩოვი** (საქ. პროფ. კავშირთა საბჭო).

ამხ. **მუშიშვილი** („კომუნისტის“ რედაქცია).

ყველა საწარმო მოვალეა 5 დღის ვადაში ამის გამოცხადებიდან ფართოდ გააცნოს მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებს კონკურსის პირობები.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი — **ბ. ყურულაშვილი.**

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია — **გრ. მუშიშვილი.**

პოლონეთის უპარტიოთა ბლოკის ლიკვიდაციის გარშემო

ვარშავა, 31 ოქტომბერი. გუშინ გაიმართა „მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიოთა ბლოკის“ სხვადასხვა ორგანიზაციების მდივნების და თავმჯდომარეების კრება, რომელზედაც ბლოკის ორგანიზატორმა პოლკოვნიკმა სლავეკმა, შეაჯამა რა ბლოკის 7½ წლის მუშაობის შედეგები, განაცხადა, ახალი კონსტიტუციის შემოღების და „პარტიული“ სეიმების გაუქმების შემდეგ ბლოკმა შეასრულა თავისი ამოცანები. სახელმწიფო მოღვაწეობის სიმძიმის ცენტრი ახლა, სლავეკის სიტყვით, გადატანილ უნდა იქნას ახალ სეიმსა და სენატში. ახალ დეპუტატებს, განაცხადა სლავეკმა, არ ესაჭიროებათ პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციებიო. ასეთია მთავრობის ბანაკის ხელმძღვანელ ორგანიზაციათა დაშლის ოფიციალური დასაბუთება.

ოფიციოზური ნაციონალ-დემოკრატიული „გონეც ვარშავსკი“ სწერს:

„სეიმის უკანასკნელმა არჩევნებმა დაგვანახვა, რომ უპარტიოთა ბლოკს არა აქვს გავლენა საზოგადოებაში. ის ძალიან კარგად ესმით პილსუდსკელებს და განსაკუთრებით „პოლკოვნიკთა ჯგუფს“. ვინაიდან ბლოკი გამოუსადეგარი იარაღი აღმოჩნდა საზოგადოებასთან კავშირისათვის, გადასწყდა მისი ლიკვიდაცია“ (ადს).

მხატვარ 8 ა. კუჭნიდოვის ნახატიდან



საბჭოთა ხელისუფლებისათვის!

პარტიული პროპაგანდა

„პრავდის“ მოწინავე. 2/XI.

კოლოსალურად გაიზარდნენ პარტიის პროპაგანდისტული კადრები რევოლუციამდელი კურსებიდან კაპრის შორეულ კუნძულზე, რამდენიმე ათეული ლექტორიდან წითელი პროფესურის ინსტიტუტებამდე, კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებამდე ათეულ ათას მოსწავლეებით, პარტიული სკოლებისა და წრეების მწყობრ სისტემამდე. რა დიდი და მდიდარი გზა არის განვლილი!

და აგიტაციის სპეციალური განყოფილება, რომლებიც ...

რითია გამოწვეული ყველა ეს ღონისძიება?

...

ყველა პროპაგანდისტი; მიუთითა, რომ საჭიროა პარტიის ისტორიის სწავლების საქმის გაუმჯობესება და, ბოლოს, 14 ივნისს გამოიტანა დადგენილება „უახლოეს დროში პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ“. ამას გარდა, როგორც ცნობილია, ცენტრალურმა კომიტეტმა გამოჰყო პარტიული პროპაგანდისა

წრეების დაკომპლექტება ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან შეფარდებით“. ამ პარტიულმა ხელმძღვანელებმა, დიდი ნდობით აღჭურვილმა ადამიანებმა, საჭიროა არ სცნეს პირადად მოეკიდოთ ხელი პარტიული სკოლების დაკომპლექტებისათვის და როგორც მათი ორგანი. ზაცვიების პროპაგანდისტული

ნეს თვისებათა — ამაღლებით, მარქსიზმ-ლენინიზმის უფრო ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებით. ჩვენი გმირული პარტიის ისტორიის შესწავლით ჩვენ კიდევ უფრო მაღლა ავწევთ ლენინურ-სტალინური პარტიის წევრის სახელს და უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის უფრო სწრაფ სვლას სოციალიზმისაკენ

რაზე მუშაობენ ჩვენი მწერლები

ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა ა.-ქ. დღემათა საგანგებოდ თანამშრომელს საუბრის დროს გააცნეს თავისი ახალი შრომები, რომლებსაც ისინი ამზადებენ ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის თავისათვის, აგრეთვე დიდი საიუბილეო თარიღებისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისა და ოქტომბრის 20 წლისთავისათვის.

მიხ. ჯავახიშვილი

ჩვენ, მწერლები, წლითიწლობით ვიძლიერებთ ბრძოლას ახალი ადამიანის სახის შესაქმნელად. ეს მიზანი განსაკუთრებით მკაფიოდ დაგვისახა მწერალთა საკავშირო ...

... რუსულ ენაზე გადავთარგმნი 1936 წ. ქრონ, რომ დაიამ...ვრიბ მას ... ჩემი უკანასკნელი რომანი „არსენა მარაბდელი“ გადაკეთდა სცენისათვის და, გარდა ამისა, მზადდება კინო-ფილმად. მოსკოვში რომანი რუსულად გამოვიდა.

პაოლო იაშვილი

— პოეტ ... ლორთქიფანიძესთან ერთად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისათვის მე ვწერ პოემას მთელი მსოფლიოს დიდი ბელადისა და მასწავლებლის ...

გალაკტიონ ტაბიძე

საბჭოთა საქართველოში პოეზია ... ვის. იგი ასახავს ჩვენი დიადი ბრძოლის სიძნელეებს, ყველა ჩვენს ...

... რამ დაიკავშირებულ ოქტომბერს. რომელმაც შემოქმედების თვალუწვდენი გაქანება გადაგვიშალა, მე მივუძღვენი ჩემს 600 გვერდიან კრებულს.

ეს წიგნი თითქმის 18 წლისაა. იგი დაიბადა 1917 წელს, ოქტომბრის გარიჟრაჟზე, და დაკავშირებოდა ოქტომბერთან ერთად. ეს წიგნი ვამოგვა ოქტომბრის 18 წლისთავისათ-

და მრავალი იმედის აღმძვრელია. პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული და მუდმივი ყურადღება მწერლებისა და ხელოვნების საჭიროებებისადმი იმის გარანტიაა, რომ მუშაობა, რომელიც ხელოვნებისა და პოეზიის ფრონტზე სწარმოებს, უფრო ინტენსიურად განვითარდება და მაღალ-ხარისხოვან პროდუქციას მოგვცემს.

O

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

— საქართველოს მწერლები და პოეტები გატაცებული არიან მისწრაფებით—ასახონ რესპუბლიკის ...

პარალელურად, პოეტ პაოლო იაშვილთან ერთად, მე შევუდექი მუშაობას პოემაზე ამხანაგ სტალინის ...

...

... გზის შტოს გაყვანაში.

ეს წიგნი თითქოს იქნება იმ დიდი ყურადღების პასუხი, რომელსაც ქართულ პოეზიას აქცევენ გამოჩენილი რუსი პოეტები ბ. პასტერნაკი და ნ. ტიხონოვი, რომლებმაც ბოლო დროს ხელი მიჰყვეს მთელი რიგი ქართველი პოეტების ნაწარმოებთა თარგმნას რუსულად.

O

ტიციან ტაბიძე

— ოქტომბრის მომავალ 18 წლისთავს და მოახლოებულ დიად თარიღებს —საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავს და ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს ქართველი მწერლები და პოეტები გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობ-

ან. ჭოჭუა □ □ □ □ □ □ □ □ □ □

საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავების წლები

ძველი სოფელი მისი საყდრით ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას, ურიადნიკის, ხუცესისა და კულაკის საუკეთესო სახლებით პირველ პლანზე, მისი ნახევრად დანგრეული გლეხური ქოხებით უკანა პლანზე—მქრება. მის ადგილას ჩნდება ახალი სოფელი, მისი საზოგადოებრივ - სამეურნეო ნაგებობებით, მისი კლუბებით, რადიოთი, კინოთი, სკოლებით, ბიბლიოთეკებით და ბაგებით, მისი ტრაქტორებით და კომბაინებით, სალეწი მანქანებით და ავტომობილებით.

ი. სტალინი.

ძლევამოსილი ოქტომბრის მორიგი წლისთავი სრულდება.

18 წლის ...

საერთო ფონდი და ფართო მოხმარების საგანთა გამოშვება.

ის მშრომელი გლეხები და მოჯამაგირეები კი, მუქთახორა თავად-...

ლიმონის ახალი კერა

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებიდან იმდენი ლიმონი არსად არ არის, რამდენიც ალამბარში. 28.000 ნარგავიდან ათი ათასი ლიმონია. კურსი იქითკენ არის აღებული, რომ ალამბარი ძირითადად ლიმონის მეურნეობად გადაიქცეს, რადგან ლიმონის ზრდისათვის აქ ფრიად ხელსაყრელი პირობებია. მომავალ წელს მარტო ლიმონი გაშენებული იქნება ხუთ ჰექტარზე.

შარშან ციტრუსების სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის ალამბარმა ლიმონ-მანდარინის ტრესტის მეორე ჯილდო მიიღო. წელს ალამბრელებმა თვითონ წამოიწყეს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებანი, რომლებიც უკვე შესრულებულია.

შრომის ნაყოფიერება უნდა გაედიდებინათ 20 პროცენტით, სამაგიეროდ გადიდებულია 47 პროცენტით. საწარმოო დავალებათა შესრულება ასეთ სურათს იძლევა: ლიმონის დარგვა შესრულებულია 102 პროცენტით, მანდარინის — 100 პრ., ქარსაცავ მცენარეების — 150 პროც., ცოცხალი ღობის — 114 პროც., ლიმონის რემონტი — 165 პროცენტით.

როგორც პლანტაციის გაშენება, ისე რემონტი ჩატარებულია აგროწესების სრული დაცვით და ვადაზე ადრე (მაგალითად, ლიმონის დარგვა დამთავრდა 5 აპრილს, ნაცვლად 25 აპრილისა). წელს გაზაფხულზე დაირგო 3363 ძირი ლიმონი და მანდარინი.

დავალიანება და გადახარჯვა მეურნეობას არა აქვს. პირიქით, მესამე კვარტალის ბოლოს მეურნეობას 9.000 მანეთი ეკონომია ჰქონდა.

ნარგავები საუცხოო მდგომარეობაშია. შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებენ ლიმონები. წამლობის დროზე ჩატარების შედეგად ავადმყოფ მცენარეთა რიცხვი ძალიან მცირეა. ავადმყოფებს მიჩენილი ჰყავთ სპეციალური მომვლელი — აგრონომი, რომელიც მათ სისტემატიურად ადევნებს თვალყურს.

როგორც ცნობილია, ციტრუსებიდან ყველაზე ნაზი ლიმონია. იგი ზამთარში უნდა შეიფუთოს, ყინვებმა რომ არ დააზიანოს. მეურნეობა უკვე შეუდგა საამისო მუშაობას. სარები დამზადებულია და მიტანილია ნარგავებთან. ამჟამად სწარმოებს ჩალის მიზიდვა. ნოემბრიდან, ნაყოფის შეგროვების შემდეგ, შეუდგებიან მცენარეების შეკვრას.

ციტრუსების მოვლის გაუმჯობესებაში დიდი როლი ითამაშა შრომის ახლებურად მოწესრიგებამ. ჩატარებულია ნარგავების გაპიროვნება, თვითეულ მუშას მისავლელად მიჩენილი აქვს 800—1.200 ძირი ნარგავი. ყოველგვარი სამუშაო თავის ნაკვეთზე მან უნდა შეასრულოს. ამან შესაძლებელი გახადა მუშების რიცხვის შემცირება 83-დან 31-დე, მათ შორის ექვსი სეზონურია. გაიზარდა მიმაგრებული მუშების პასუხისმგებლობა, ამის შედეგად გაუმჯობესდა ციტრუსების მოვლის ხარისხიც.

მეურნეობამ შექმნა აგროპერსონალის და მუშების მტკიცე კადრი, რომელიც ენერგიულად იბრძვის ყოველი ნარგავის შენარჩუნებისათვის. ასეთებია უფროსი აგრონომი სევ. მჟავანაძე, აგრონომები და აგრო-ტექნიკოსები ე. სალუქვაძე, ა. გაბელია, რამიზ გოგიტიძე, მუშები უშ. ორაგველიძე, ს. კონიშჩუკი, ახმედ თხილაიშვილი, მევლუდ ქათამაძე, რამიზ მორჩილაძე და სხვ.

მეურნეობა დიდ ყურადღებას აქცევს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ყოველი მუშა და სპეციალისტი უზრუნველყოფილია ცალკე ბინით მეურნეობის ტერიტორიაზე, შარშან კი მეურნეობიდან 2—3 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდნენ სოფ. ზენითისა და ალამბრის გლეხების სახლებში.

მეურნეობას აქვს საბავშვო ბაგა, რომელშიაც ამჟამად ათი ბავშვი ირიცხება. წელს გეგმით გათვალისწინებული იყო ახალი შენობის აგება საბავშვო ბაგისათვის, მაგრამ ტრესტმა ვერ შესძლო საჭირო თანხების გამოყოფა. ბაგას დათმობილი აქვს ორი მზიანი ოთახი და ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სათანადო კვებით და აღმზრდელებით.

მუშათა ბინებში ყველგან ელექტრონის განათებაა. მუშებისათვის მოწყობილია უფასო სამრეცხაო და აბანო. ასეთი მზრუნველობის შედეგად მოისპო მუშათა დენადობა. ალამბარს ჰყავს მუშები, რომლებიც მეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან მუშაობენ.

ცხადია, ასეთი კადრით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. მეურნეობამ არა თუ შეასრულა სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, არამედ ამის ზევით შემდეგი სამუშაოები ჩაატარა: ააგო ერთი საპლანტაციო სახლი, გაიყვანა საპლანტაციო გზა ერთი კილომეტრის მანძილზე, მოაწყო ელსადგური და მდინარე აჭყვაზე ააგო რკინა-ბეტონის ხიდი, რომელიც აკავშირებს როგორც მეურნეობას, ისე სოფლებს ზენითსა და ალამბარს რაიონის ცენტრთან.

ალამბარში ციტრუსებს კარგად უვლიან. ისინიც სწრაფად იზრდებიან და თვალს ახარებენ თავის სისაღით. წელს ალამბარი პირველად იძლევა მოსავალს. მეურნეობა მზად არის მისი დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის.

შ. ბუაჩიძე.

სიხარულის დღე ნოქალაქევში

30 ოქტომბერი. ეს დღე არ იყო ჩვეულებრივი სიხარულის დღე ნოქალაქეველ კოლმეურნეთათვის. ეს დღე არ ჰგავდა საქორწინო მხიარულების დღეს. არც დაუღალავი შრომის შემდეგ გამართულ ლხინის დღეს. არა! ეს უფრო მეტი იყო; მოხუც კოლმეურნეებს ფარნა ჯიმშელეიშვილს და სტეფანე მელიქაძეს თავის ათეულ მეგობრებთან ერთად, არ განუცდიათ ასეთი სიხარული თუნდაც იმ დღესაც კი, როდესაც მათ ოჯახს შეეძინათ უფროსი შვილები — ვასილ და ბისა...

რა იყო სასიხარულო? თუ ვაჟიშვილი შეეძინა ღარიბ გლეხს, კაჟიანი თოფის ხმა ბატონს უხაროდეს — ყმა მიემატა!...

დღეს კი ნოქალაქევის ამხ. ლ. ბერიას სახელობის საკოლმეურნეო მინდვრები — 522 ჰექტარი, უვადო სარგებლობაში ეძლევა ორას ათ სიცოცხლით სავსე ადამიანს და ამიტომაა, რომ ჭილოდანვე ქალი, კაცი, დიდი და პატარა უსაზღვრო მხიარულებაშია...

o

შებინდდა. შესწყდა მინდვრიდან დაბრუნებულ საქონლის ბღავილი. საკოლმეურნეო ფერმაში ძროხების წველა მიათავეს. ათასეული ფრთაქათამი საბუდარში შეყუჟდა, [illegible] ტოტებზე გაიჩაბა.

ნოქალაქევის კლუბი ხალხით გაივსო.

სასულე ორკესტრის ინტერნაციონალის ხმით იხსნება საზეიმო სხდომა.

ცხაკაიას რაიონის მიწგანმა ამხ. ან. პერტენავამ დამსწრეთ მოულოცა ზეიმის დღე, გაახსენა ის შავბნელი და მწარე დრო, ადგილობრივი მშრომელები რომ განიცდიდნენ, როგორ აწვალებდნენ ერთი ნაჭერი მიწისათვის ბატონები, დადიანები და აფაქიძეები; დღეს კი ამ სიცოცხლით სავსე ადამიანებს შეუძლიათ გახდნენ შეძლებული ადამიანები.

შემდეგ სიტყვას ამბობს 64 წლის ფარნა ჯიმშელეიშვილი, უხუცესი კოლმეურნე — 80 წლის სტეფანე მელიქაძე, ლუკა ქაჯაია კოლმეურნეობა „ოქტომბერიდან", სამსონ დემურია — ფოცხოდან, ლადო კორ[illegible] — უშაფათიდან, სამსონ ჯო[illegible] — უშაფათიდან. პოეტი ხა[illegible] ლექსით ესალმება კოლმეურნეებს; სიტყვას ამბობენ: რაიკომიდან — დავით ეხანია, ქალაქის საბჭოდან — გერასიმე კარტოზია და სხვები.

სასულე ორკესტრის გრიალში კოლმეურნეობა იბარებს მიწის უვადო სარგებლობის სახელმწიფო აქტს.

დღეს ყველა მომავალი ბედნიერი დღეებისაკენ ამაყად იყურება. ისიც, ვისაც წარსული ტანჯვასა და ვაებაში გაუტარებია და ისიც, ვისაც არ უნახავს ტანჯვის დღეები, ბატონის მათრახი, ტირილი და ვაება. და ისინიც, ვინც საკოლმეურნეო ცხოვრების დღეებში დაიბადნენ ეს პატარა გოგო-ბიჭებიც იცინიან და იზეპირებენ სტრიქონებს:

> ჯავეში სანჯოვარეფი ვამოკონა,
> გეეთხარათ და გოფშერათ..
> ამა კითხო ჯავეში კითახ ვაუძირუნა
> ამირხ...

o

აქ გამოსულ ადამიანთა სიტყვები ყველას ჩასწვდა გულში.

შეხედეთ თუნდაც 19 წლის შავგრემან კოლმეურნე ქალს აგრაფინა კოლუას, კუთხეში რომ ზის და იღიმება. აცვია თეთრი გაქათქათებული ხალათი, გულზე ტეხილ ხაზებიანი ნაქარგებით, შავი შალის კაბა, აბრეშუმის ჩულქები და ტუფლები. ხელში მოქარგული ცხვირსახოცი უჭირავს, ლაპარაკობს თამამად. საკოლმეურნეო მინდვრებზე განთიადისავე გადის და შემდეგ მას დაინახავთ ყველგან, სადაც კი შრომაა და მხიარულება.

1931 წელს მამა გარდაეცვალა. დაობლებულ ოჯახს კოლმეურნეობამ გაუწოდა ხელი, დაეხმარა, მისცა გრძელვადიანი სესხი და იმ დღიდან დღემდე აგრაფინა და დედამისი ოლღა კოლმეურნეობაში მუშაობენ.

ამ კოლმეურნეობაში ყველაზე უხნესი სტეფანე მელიქაძეა, 136 შრომადღე აქვს დღემდე გამომუშავებული. უმცროსი შვილი პავლე ტფილისში სწავლობს, პისა და კაპიტო საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობენ. შრომობენ სტეფანე და მისი ცოლი სუსა კოლმეურნეობაში და ახლა სხედან საზეიმო კრებაზე, მხიარულობენ აქტის ჩაბარებაზე.



ნოქალაქევის ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის უხუცესი კოლმეურნე — სტეფანე მელიქაძე, იგი დღეს 80 წლისაა. დღემდე გამომუშავებული აქვს 130 შრომადღე

აი, 65 წლის ფარნა ჯიმშელეიშვილი. 35 წლისა გეგონებათ, როცა მის ვარდისფერ სახეს და შავ ულვაშებს უცქერით, მით უმეტეს, როცა იცინის, ან ლაპარაკობს.

...და ამ ცოცხალი კაცის თავზე რომ იტყვიან — წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ სხვა ყველაფერი გადაუტანია: რვა შვილის მამაა ფარნა. 40 წლის წინათ ნოქალაქევში ჩასახლებულა, უმუშავნია ლევან დადიანის და შალამბერიძეების სანახევრო და სამესამედო მიწაზე.

თავისი ცხოვრების ნახევარი სოკუნე პატარა ქოხში, [illegible] გაუტარებია. ახსოვს მთვარიანი ღამეები ყანაში სამუშაოდ აქ ტყეში გატენილი.

ოჰ, ბევრი, ბევრი რამ ახსოვს ფარნას და ახლა ყველაფერი უნდა რომ მოიგონოს და უამბოს ახალგაზრდებს, რომ იცოდნენ ის ტანჯვა - წამება, რასაც მამები და დედები განიცდიდნენ წყეული ბატონების დროს. დღეს ბედნიერია ფარნა და მისი ცოლი. ბედნიერია შვილები: ვასილი — ინჟინერია, სილოვანი — აგრონომი, დავითი — სტუდენტი, გრიშა — მასწავლებელი, ბაგრატი — შინ მუშაობს, ნიკო — ტექნიკუმში სწავლობს, აკაკი — მეექვსე ჯგუფშია, ქალიშვილი ქსენია ახლახან გაათხოვა, ოჯახს სამი რძალი შეემატა....

o

კიდევ ბევრი რამის მოყოლა შეიძლებოდა ამ ადამიანთა ცხოვრებიდან; შეიძლებოდა გვეამბნა, თუ მოხუც უშაფათელ კოლმეურნე ლაზო კორშიას და მის 32 მეგობარს რა გადახდათ თავს, როცა ბატონ აფაქიძეს უარი განუცხადეს მოსავლის ნახევრის მიცემაზე და უთხრეს — მიწა ჩვენია.

ან როგორ ეხვეწებოდნენ დადიანს, მობრძანებულიყო და მიეღო „თავისი". 2 მესამედი მოსავლისა, გამზადებული და გასუფთავებული.

ერთი წუთით თითქოს დალონდები და ძალაუნებურად გაიხედავ ამ თეთრწვერა ადამიანების ტანჯულ ცხოვრებისკენ, როცა ისინი ტრიბუნაზე ადგებიან და უბრალო ენით გიამბობენ თავიანთ წარსულს, მაგრამ ისევ იცინიან და მხიარულობენ როდესაც ისინი ათავებენ ლაპარაკს და გიამბობენ იმას, თუ როგორი ბედნიერებით შეიცვალა მათი დღევანდელი ცხოვრება, როცა ამ ტანჯულ სიტყვებს საკოლმეურნეო ცხოვრების ბედნიერება ფარავს, ამ მოხუცებში ახალგაზრდა ადამიანებს ხედავ და მათი [illegible] ნელი სიტყვები: „გაუმარჯოს ამხ. სტალინს, მადლობა ბელადს ბედნიერი ცხოვრებისათვის", იფარება ინტერნაციონალის ხმებში...



ახალგაზრდა მოლექსე, კოლმეურნეობა „ოქტომბერის" წევრი ამხ. ლადი სალაყაია, რომელმაც ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეებს აქტის ჩაბარების დღეს უძღვნა ლექსი: „დიხაშ აქტიში ჩაბარება".

ან კიდევ, როდესაც საზეიმო სხდომა თავდება ცნობილ ადგილობრივ მომღერალთა გუნდის ცოცხალი ხმებით, და პატარა ბავშვები იზეპირებენ კოლმეურნე პოეტის სტრიქონებს:

> აჲი წოხოლე იდითია,
> დიხა არძო თქვანი რენდო
> გური დეიმშვიდითია...
> კოლმეურნე მაყალეფი
> მალას გემდიდრითია...

შალვა ფურცხვანიძე.

ნოქალაქევი,
30 ოქტომბერი.

დილა [illegible]

როგორც ვერცხლის ნათითური,
გადმომდუღარი მწყურვალი.
ზღვას აღნებს ცისკიდური
და ზურმუხტი მღელვარე.

მიდის გემი, როგორც მაქვა
მოწყვეტილი ნაპირებს.
კომლის ცოცხით ზღვის დაგვას
ამ დილით რომ აპირებს.

ასეთ დილას, ლაზიკიდან
გაფისული ნავებით
იტაცებდნენ მთას [illegible]
ქალს, გოშერა კავებით.

შორებდნენ მაღალ მიწას.
ლალი, მზიური წყალობით,
აღმართავდნენ ცისკენ ფიწალს
წარმართულის გალობით.

[illegible]
[illegible], დილავ, ჩემო.
ზღვა გახადე, როგორც ცთილი
დილა, არ დაგავაშავო".

o

იმ შავ დილამ წინაპართა
შთანთქა ცალფა ნავები
და წყვილ შუა [illegible]
დახშულდა მოსართავები.

გადაიმსხვრა წინდისჩხირი,
[illegible] ანძები,
დასობილი [illegible],
ვით კალმის ყანწები...

o

მოჩვენება დაიჩრდილა,
თავს შორიდან მაფრენს...
გადმოადგა დიდი დილა
ჩემი ქვეყნის ნაპირებს.

ნიკოლო მიწიშვილი.

რაიონებში

უყურადღებო სამკურნალო აბანო

ჯუღელი. ს. ქვალითში არის აბანო, რომელიც სპეციალისტთა კომისიის დასკვნით რევმატიზმსა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობას არჩენს. ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანი გაუსწორებია წელში და რამდენი მორჩენია ამ აბანოს.

მიუხედავად ამისა მას ყურადღებას არავინ აქცევს. აბანოს არა აქვს საკმაო აბაზანები. არა აქვს ვარგისი ღამის გასათევი ბინა, აბანოს შენობა დანგრევის პირასაა. ავადმყოფებს სოფელში უხდებათ სიარული ღამის გასათევად. არ არის სასადილო. ცუდად არის საექიმო მომსახურება.

ყოველივე ეს ამ სოფლის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სუსტი მუშაობით აიხსნება. რადგანაც აბანო მათ ხელშია. ისინი შემოსავლით უფრო არიან დაინტერესებული ვიდრე აბანოს კულტურულად მოწყობით. წელს ამ აბანოს შემოსავალი 30.000 მანეთს უდრის. ამ თანხით შეიძლებოდა ახალი აბანოს აშენება, რომ მათ აბანოს კეთილმოწყობა აინტერესებდეთ.

ივ. მარაქველიძე

სკოლა უყურადღებოდ

გურჯაანი. სოფ. ზეგანის დაწყებითი სკოლა (გამგე რაზმაძე) უყურადღებოდ არის მიტოვებული. ახალი სასწავლო წლისათვის ამ სკოლის სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებიათ.

ოთახში წყალი ჩამოდის. საკლასო ოთახის ფანჯრებს მინები აკლია.

სამი კლასი (მეორე, მესამე და მეოთხე) ერთ ოთახში მეცადინეობს. საინტერესოა, თუ როგორ არის მოწესრიგებული სამი სხვადასხვა კლასის სწავლა, როდესაც სკოლაში ორ ცვლაზე მეტად მეცადინეობა შეუძლებელია.

სკოლას მხოლოდ 10 მერხი და ერთი დაფა აქვს. არა აქვთ რუკები, გლობუსი და სხვ.

გურჯაანის განათლების განყოფილებამ და ახაშენის ს/ს საბჭომ სკოლას უნდა მიხედოს.

შ. მაჭავარიანი

ბინებიც მზად აქვთ და საკვებიც

ბაღდადის რაიონის სოფ. ვარციხის კოლმეურნეობა „წინსვლა" მომზადებული ჰხვდება ზამთარს. პირუტყვისათვის ქვითკირის ბოსელი ააგო, ძველი ბოსელიც შეაკეთა. საკვები მოიმარაგა.

კოლმეურნეობამ გეგმით მიცემულ 15 ტონა საკვები ბალახეულის ნაცვლად 18 ტონა დაასილოსა.

პირუტყვი უზრუნველყოფილია თბილი ბინებით და ნოყიერი საკვებით.

არ. გონგლაძე

მოსავალი ვადაზე აიღეს

ცხაკაიას რაიონის ძვ. სენაკის ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობა სიმინდის მოსავლის უდანაკარგოდ აღებას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა. მათ აგრეთვე შეაკეთეს მოსავლელი გზები, ბოგირები; წესრიგში მოიყვანეს სასიმინდეები და სხვ.

— არც ერთი მარცვალი დაუღებელი — ამ ლოზუნგით შეუდგნენ კოლმეურნეები მოსავლის აღებისათვის ბრძოლას.

დამკვრელური მუშაობის შედეგად კოლმეურნეობამ მოსავალი 20 ოქტომბრისათვის მთლიანად აიღო.

მამაკაცებთან ერთად მუშაობაში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს კოლმეურნე ქალებმა.

მ. კუპრეიშვილი

სსრ კავშირთან მშვიდობიანობისა და მეგობრობის განმტკიცების კვირეული

მოსკოვი, 1 ნოემბერი. უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოებამ მიიღო ცნობა, რომ დეკემბრის დამდეგს ინგლისში ეწყობა „სსრ კავშირთან მშვიდობიანობისა და მეგობრობის განმტკიცების კვირეული", გაიმართება მიტინგები, ლექციები, საბჭოთა ფილმების ჩვენება, ლიტერატურისა და ფოტოს გამოფენა და სხ. კვირეულის დასასრულს 7 და 8 დეკემბერს ლონდონში გაიმართება „სსრ კავშირთან მშვიდობიანობის და მეგობრობის კონგრესი", სადაც მოსმენილი იქნება მოხსენებები საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის, ახალი ეკონომიური სისტემის შექმნისა და სსრ კავშირში კულტურულ საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. მომხსენებელთა შორის დასახელებული არიან: ცნობილი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწენი სიდნეი უები, ლორდი მარლეი, პროფ. გ. ლასკი, სერ ჯონ რასელი, გ. მეტკაფი და სხ. „სსრ კავშირთან მშვიდობიანობისა და მეგობრობის კვირეულის" ინიციატორები არიან ინგლისის გამოჩენილი საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოღვაწენი: ბერნარდ შოუ, სესილი, ჩესტერტონი, ლაურენს ხაუსმანი, სსრ კავშირთან კულტურული დაახლოების ლონდონის საზოგადოების პრეზიდენტი პროფ. აბერკრომბი, სერ ჯორჯ პეიჩი, სერ ე. როტენშტეინი, პოლ რობსონი, პროფ. ლევი და სხ. (ტას).

რისთვის იწერენ გაზეთებს?

(რედაქციაში შემოსული საჩივრები)

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ფოსტა - ტელეგრაფის მთელი რიგი დაწესებულების უხეირო მუშაობის წყალობით ხელისმომწერნი დროზე ვერ ღებულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ან მთლად ეკარგებათ.

რედაქციას საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მოარებული წერილები მოსდის ჟურნალ - გაზეთების მიუღებლობის შესახებ. ავტორები გვატყობინებენ, რომ ჟურნალ-გაზეთებისა და წერილების მიწოდების საქმე მოუგვარებელია. ჟურნალ - გაზეთები 6—7 დღე ჰყრია კავშირგაბმულობის რაიგანყოფილებებში.

გაზეთების მიუწოდებლობა ბევრგან დამტარებლების უყურადღებობის ბრალია. ზოგან დამტარებლებს 5—6 თვით უგვიანებენ ხელფასს და, ამგვარად, აიძულებენ მუშაობას თავი დაანებონ.

აი, რას გვწერს ნ. იმნაიშვილი (სოფ. შუხუთი, ლანჩხუთის რაიონი). „მაისში 2 თვით გამოვიწერე გაზ. „კომუნისტი". გადავიხადე ხუთი მანეთი (ქვ. № 22568) მაგრამ 2 თვე გავიდა და არც ერთი ნომერი არ მიმიღია".

ახლა მოვუსმინოთ მუშკორ გ. პილაძეს (სოფ. კიცხი, ჩხოროწყუს რაიონი). „სამი თვით გამოვიწერე ჟურნალი „სოვეტსკიე სუბტროპიკი" და გადავიხადე 7 მან. 50 კაპ. დრო გადიოდა და ჟურნალს არ ვღებულობდი. მივაკითხე სოფ. კიცხის ფოსტის გამგე ლაგვილავას და ვთხოვე ქვითარი. მან მითხრა: „რა ვქნა, ფული მოსკოვშია გაგზავნილი და იქ, ალბათ, ვინმემ ჩაიჯიბა". ამის შემდეგ რაიგანყოფილებაში მივედი, მაგრამ ვერც ამით გავაწყე რა".

გლეხკორი ვ. ნანობაშვილი (ს. აქირი, სიღნაღის რაიონი) გვწერს: „ტფილისის ფოსტაში გამოვიწერე 6 თვით გაზეთი „კომუნისტი" (ქვ. № 76106), მაგრამ დღემდე არც ერთი ნომერი არ მიმიღია".

გლეხკორი ვ. ხუსკივაძე (სოფ. კვალითი, ჯუღელის რაიონი) გვატყობინებს: „ჩვენს სოფელში დამტარებლად მუშაობს კ. გიორგაძე, რომელიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, მაგრამ მას ხუთი თვეა ჯამაგირი არ მიუღია. მოსახლეობაში კი ყოველ თვე აგროვებენ საამისო ფულს და ვიღაცა ითვისებს. გიორგაძე იძულებულია თავი მიანებოს მუშაობას".

ნიკო კუბლავა (დიდი ჭყონი, მარტვილის რაიონი) გვატყობინებს: „რაიონის ფოსტას არ ჰყავს დამტარებელი. ჟურნალ - გაზეთებს, ხელისმომწერლების ნაცვლად, ნაცნობ-მეგობრებს ურიგებენ. როდესაც ამის შესახებ ფოსტის გამგეს ვუთხარი, მან მიპასუხა: „[illegible] რაიონის ბრალია" (!)

აკ. ხულამანიძე (ბაღდადის რაიონი) გვწერს: „კავშირგაბმულობის ბაღდადის რაიგანყოფილებამ სრულებით ვერ მოაგვარა ჟურნალ-გაზეთების გამოწერისა და წერილების მიწოდების საქმე, რადგან აქ მოკალათებული არიან დაუდევარი მუშაკები (კოხოძე, შალამბერიძე, გუმბერიძე, კანჭაველი და სხვები). მათი გამოისობით იკარგება პაკეტები, წერილები და ფულები. იშვიათია ისეთი დღე, რომ ფოსტაში არ გაიგონოთ კოლმეურნეთა მოდავე: „გაზეთი ერთ წლით გამოვიწერე და სამი თვის შემდეგ მოცემა შემიწყვიტეს", ამბობს ერთი. სხვები კი სრულ მიუღებლობას ჩივიან. მიდიან გამგესთან, ის მოლარესთან გზავნის, მოლარე — დამტარებელთან, უკანასკნელი კი ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება მათ".

ფოსტის მუშაკები წესიერად არ იკვეთავენ ჟურნალ-გაზეთებს. მაგ.: ერთი წლით გამოწერილი „კომუნისტი" რაიკომკავშირის სახელზე, სამი თვით დაიკვეთეს 9 თვის გაზეთის საფასური კი ფოსტის გამგე გ. შალამბერიძემ მიითვისა, მანვე „გაიხმარა" „სამტრესტის", შემსალაროს, რაიაღმასკომის და რაიკომკავშირის მაღაზიების გაზეთების ფული.

გრ. შალამბერიძეს და მის თანამშრომლებს გაფლანგული აქვთ ჟურნალ - გაზეთების რამდენიმე ათასი მანეთი. ეს ამბავი კარგად იციან საქ. კავშირგაბმულობის სამმართველომ და ბაღდადის რაიპროკურორმა, მაგრამ რატომღაც ზომებს არ ღებულობენ.

ჟურნალ - გაზეთების მიწოდების საქმე ტფილისში და მის რაიონებშიაც მოუგვარებელია. აი, რას გვწერს მუშკორი ვ. შარიქაძე (ავჭალა): „ავჭალის შუშის ქარხნის მუშა - მოსამსახურეებმა ჯერ კიდევ ივლისში გამოვიწერეთ აგვისტოს გაზეთები. ფული გადავიხადეთ. მაგრამ გაზეთები 4—5 დღის ინტერვალით მოგვდის. „პრავდა" 7 აგვისტოდან 16 აგვისტომდე არ მიგვიღია. ვერ ვღებულობთ აგრეთვე სხვა გაზეთებსაც".

სტუდენტი ხ. მტაძე (ტფილისი) გვატყობინებს: „30 სტუდენტი ვცხოვრობთ საერთო საცხოვრებელში (პუშკინის ქ. № 31). ყველას გამოწერილი გვაქვს სხვადასხვა ჟურნალ - გაზეთი, მაგრამ მათ ხშირად ვერ ვღებულობთ, რადგან ფოსტის (№ 6) დამტარებელი იშვიათად გაზეთებს ეზოს კარებში ჰყრის და ჩვენს მისვლამდე სხვებს მიაქვთ. ამის შესახებ რამდენჯერმე მივმართეთ ფოსტას მაგრამ ზომები არავინ არ მიიღო".

რედაქციას ასეთივე საჩივრები მიღებული აქვს გურჯაანის, მახარაძის, სიღნაღის, მარტვილის, ქუთაისის, ბორჯომის, ჩოხატაურის რაიონებიდან და ტფილისიდან.

ჩვენ ვეკითხებით კავშირგაბმულობის [illegible]: [illegible] ხელისმომწერლები იმისთვის ხომ არა, რომ ქვითარი მიიღონ, ან ფოსტის ზოგ ერთ თანამშრომელს ხელისმომწერთა ფულის მითვისების საშუალება მისცენ?

ი. ქვანია

საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საკავშირო სახკომსაბჭოს დამ. კომ. რწმუნებული

ჩვენი მიღწევები დიდი ოქტომბრის წლისთავზე

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა.-წ. ივნისის პლენუმმა აღნიშნა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების უაღრესად დიდი მნიშვნელობა და მიუთითა: „გეგმები წლევანდელი შესრულებულ იქნება მთლიანად და დანიშნულ ვადაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილ იქნება აღებული პურის სათანადოდ დაცვა, გაშრობა და [illegible], თუ კოლმეურნე მასები და საბჭოთა მეურნეობების მუშები მობილიზებულ იქნებიან დამზადებათა საქმის [illegible] მიმართულ კულაკური - წამლეჯური განწყობილებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, თუ დამზადებათა პრაქტიკიდან განდევნილ იქნება ეგრეთწოდებული თვითდინება და დამზადება ორგანიზებულ იქნება ნამდვილად, ბოლშევიკურად".

განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ მითითებებს ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით და ამხ. ლავრენტი ბერიას ყოველდღიური ბოლშევიკური [illegible], ორდენოსანმა საქართველომ წელს დამზადებათა საქმეში მიაღწია უფრო მეტ წარმატებებს, ვიდრე წინა წლებში.

დამზადებათა გეგმების წარმატებით შესრულებას ხელს უწყობდნენ შემდეგი ღონისძიებანი:

დამზადებითი ფასების გადიდება მიმდინარე წელს ([illegible]) თუ შარშან საქართველოს კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და მშრომელმა ერთპიროვნულმა გლეხობამ სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ პროდუქციაში მიიღო 170.000.000 მანეთი, წელს მათ მიიღეს 290.000.000 მანეთი.

თუ შარშან კოლმეურნეობებში სულ 19.381 მეურნეობა შევიდა, წელს 1 ოქტომბრამდე შესულ მეურნეობათა რიცხვი უკვე 147.521 აღწევს, რამაც კოლექტივიზაციის პროცენტი საქართველოში 67,7-დე აიყვანა, იმ დროს, როცა 1935 წლის 1 იანვრისათვის იგი 38,5-ს უდრიდა.

საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანია წელს უფრო უკეთ ჩატარდა, ვიდრე შარშან. შარშან საგაზაფხულო თესვა 5 ივნისს დამთავრდა, წელს კი 1 ივნისისათვის. წელს დათესილია მძლავრად მოხნული 93 ათასი ჰექტარი — შარშანდელზე 16 ათასი ჰექტარით მეტი.

ყველა ამ წარმატებამ შექმნა იმის პირობები, რომ წელს უფრო უკეთ ჩატარებულიყო სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადება [illegible] საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება სოფლად და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის და ძლიერების განმტკიცება.

პური. დამზადების გეგმა პურის სავალდებულო ჩაბარების მხრივ წელს ჩვენ შევასრულეთ 20 აგვისტოსათვის, ე. ი. ერთი თვით და ათი დღით ვადაზე უფრო ადრე და 10 დღით ადრე, ვიდრე გასულ წელს [illegible] უფრო ადრე შესრულების — 15 აგვისტოსათვის, ე. ი. დაწესებულ ვადაზე თვენახევრით უფრო ადრე სათესლე სესხი სავსებით დაუბრუნდა სახელმწიფოს ვადაზე 10 დღით უფრო ადრე. ნატურგადასახადის გეგმა [illegible] ვადაზე შესრულდა. განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა მარცვლეულის დამზადებაში წელს 67,3 პროც. უდრის, შარშან კი 56,6 პროც. უდრიდა.

ბამბა. წელს ბამბის დამზადების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით 1 ნოემბრისათვის, ე. ი. დაწესებულ ვადაზე ერთი თვით უფრო ადრე და შარშანდელზე ხუთი დღით ადრე. სულ სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 4.700 ტონა ბამბა, შარშან კი ამავე დროისათვის ჩაბარებული იყო 2.530 ტონა. განსაზოგადოებულ სექტორს გადამწყვეტი ადგილი უჭირავს: 73,4 პროცენტი, ნაცვლად შარშანდელი 63,1 პროცენტისა.

შაქრის ჭარხალი. ჩვენმა შაქრის მრეწველობამ (აგარის შაქრის ქარხანამ) წელს საქართველოსაგან უნდა მიიღოს 542.000 ცენტნერი ნედლეული — შაქრის ჭარხალი. 1 ნოემბრისათვის ქარხანამ მიიღო მხოლოდ 380.000 ცენტნერი — გეგმის 70 პროც. 5 ნოემბრისათვის ჩვენ მთლიანად უნდა დავამთავროთ დამზადება. უნდა აღინიშნოს, რომ შაქრის ჭარხლის დამუშავებას წელს ჩვენ ერთგვარი დაგვიანებით შევუდექით (მაგალითად, [illegible] 7 დღით გვიან დავამთავრეთ, ხოლო ცამოხშირვა კიდევ უფრო დაგვიანდა). მიუხედავად ამისა მიმდინარე წლის დამუშავების კამპანია გაცილებით უკეთ ჩატარდა, ვიდრე შარშან.

თამბაქო. თამბაქოს დამზადების დამთავრების ვადად საქართველოში დაწესებულია 1936 წლის 1 თებერვალი, ხოლო აფხაზეთში — 1936 წლის 15 მარტი. წელს ჩვენ უნდა დავამზადოთ 11.900 ტონა თამბაქო. 1 ნოემბრისათვის საქართველოში ჩვენ უკვე დავამზადეთ 1200 ტონა (აფხაზეთში დამზადება ჯერ კიდევ არ დაწყებულა) რაც იძლევა ორი თვის გეგმის (სექტემბერი და ოქტომბერი) შესრულებას 100 პროცენტით.

თამბაქოს დარგვა და დამუშავებაც კარგად ჩატარდა და ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქართველო და აფხაზეთი ვადამდე შეასრულებენ დამზადების გეგმას და გამარჯვებული გამოვლენ შეჯიბრებაში აზოვ-შავი ზღვის მხარესთან, რომელთანაც მათ სოცშეჯიბრება აქვთ დადებული.

აბრეშუმის პარკი. აბრეშუმის პარკის მოსავალი წელს ერთ კოლოფზე, გეგმით ნავარაუდევ 30 კილოგრ. ნაცვლად, 31,5 კილოგრ. უდრის. წელს პირველი შემთხვევაა, რომ გეგმა მთლიანად შევასრულეთ. სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 2.552 ტონა, ანუ გეგმის 102,1 პროცენტი. შარშან კი ჩაბარებულ იქნა 2.242 ტონა, ანუ გეგმის 80,1 პროცენტი.

ხორცი და რძის პროდუქტები. ხორცის დამზადების გეგმა საქართველოში [illegible] საკოლმეურნეო სექტორში ოქტომბრის დღესასწაულებისათვის შესრულებულია 98 პროც. შარშან ამ დროისათვის გეგმა შესრულებული გვქონდა 78,5 პროცენტით. თუმცა ჩრდილო-კავკასიასთან დადებული სოცხელშეკრულებით ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება 7 ნოემბრისათვის მთლიანად შეგვესრულებინა გეგმა. მაგრამ ბევრ რაიონში, კარანტინის გამო, ხორცის ჩაბარება გადატანილ იქნა მეოთხე კვარტალის დამლევისათვის. დარჩენილი ორი პროცენტი ამ დროისათვის არამცთუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული.

რძის პროდუქტების დამზადების გეგმა საქართველომ უკვე გადაჭარბებით შეასრულა: 1 ნოემბრისათვის კარაქის გეგმა შესრულებულია 142 პროც., ყველისა — 121 პროც., რძით მომარაგებისა — 100 პროც. და ეს იმ დროს, როცა დამზადების დამთავრების ვადად დაწესებულია 1936 წლის 1 იანვარი. შარშან ამ დროისათვის გეგმა შესრულებულ გვქონდა 94 პროცენტით.

მატყლი. ოქტომბრის დღესასწაულებისათვის [illegible] მატყლის გეგმა შესრულებულია მთლიანად, საკავშირო ვადაზე 15 დღით უფრო ადრე. სულ დამზადებულია 1.350 ტონა, შარშან კი ამ დროისათვის დამზადებული იყო 1.200 ტონა. ამას გარდა, სახელმწიფო შესყიდვით, შარშან შეძენილი 124 ტონის ნაცვლად, უკვე შეძენილი გვაქვს 350 ტონა.

o

ამგვარად, სასოფლო - სამეურნეო დამზადებათა ფრონტზე უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურების მიხედვით წელს უფრო მეტი წარმატებანი გვაქვს, ვიდრე შარშან და ორდენოსანი საქართველო ოქტომბრის 18 წლისთავს ხვდება უკეთესი მაჩვენებლებით, ვიდრე ოდესმე.

აქ საჭიროა აღინიშნოს მოწინავე რაიონები, რომლებიც დამზადებათა ყველა სახის მიხედვით, როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული დამზადების მხრივ მუდამ წინ არიან: სიღნაღის, ქუთაისის, გურჯაანის, ახალციხის, თელავის, ოზურგეთის, სენაკის, ხაშურის რაიონები. ყოველგვარი სახის დამზადების მხრივ ჩამორჩენილი არიან კასპის, საგარეჯოს, წალენჯიხის, ხობის, წალკის რაიონები.

დროა ამოძრავდნენ ეს ჩამორჩენილი რაიონებიც!

რა თქმა უნდა, მიღწეული წარმატებანი არ გვაძლევენ იმის საფუძველს, რომ თვითდამშვიდებას მივეცეთ და შემდეგში ყველაფერი თვითდინებას მივანდოთ.

ჩვენ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გაფრთხილება, რომ პარტიული, საბჭოთა, სამიწათმოქმედო და დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობა „შეფასებული იქნება მოსავლის აღების სამუშაოთა შეჯიბრებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულების მიხედვით".

ვ. ფურცხვანიძე.

ფოტო-აპარატით ცხაკაიას რაიონში

[illegible]



ოქტომბრის ზეიმის წინ

8 ნოემბერს აეროდრომზე.

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისიის დადგენილებით, 8 ნოემბერს ტფილისის აეროკლუბი აეროდრომზე აწყობს დიდ საავიაციო ზეიმს. [illegible]

[illegible]

დღესასწაულის ჩამტარებელი საქალაქო კომისიის წინადადებით, საავიაციო ზეიმზე დასასწრებლად წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა თავის დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს უნდა დაუთმონ ავტოტრანსპორტი. გარდა ამისა დილით ტფილისის სადგურიდან გავა სპეციალური მატარებელი.

თუ რვა ნოემბერს ცუდი ამინდი დადგა, მაშინ საავიაციო ზეიმის ჩატარება გადატანილი იქნება 12 ნოემბრისათვის.

საოქტომბრო ბაზრობა

ტფილისი

გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებიც ტფილისის ბაზრობაზე ვაჭრობენ, 18 ოქტომბრიდან გაჰყიდეს 170 ტონა ბოსტნეული, 10 ტონა ხორცი, 55 ტონა რძე და რძის პროდუქტები, რამდენიმე ათასი კვერცხი, 52 კილო თაფლი, 48 სული პირუტყვი, 45 ღორი, 21 ცხვარი, თხა და სხვა პროდუქტები.

სუხიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ ბაზრობაზე გაყიდული პროდუქტების ფულით შეიძინა 2000 მანეთის მანუფაქტურა.

ქუთაისი

საოქტომბრო ბაზრობის პირველმა ოთხმა დღემ ცხადჰყო, რომ ქუთაისის სავაჭრო ორგანიზაციებმა და ქუთაისის, სამტრედიის, ბაღდადის, ხონის და ვანის რაიონების კოლმეურნეობები საოქტომბრო ბაზრობას კარგად მომზადებული შეხვდნენ. [illegible]

ზუგდიდი.

[illegible]

ფრიადოსანი ფიზკულტურელები

ფიზკულტურის ტექნიკუმის ფრიადოსანი თამარ ჯინჭარაძე — სახ. მუშფაკის ფრიადოსანი თამარა ჟურეშიძე — ფიზკულტურის ტექნიკუმის ფრიადოსანი მარო სარქისოვა

აკად. ვ. ლ. კომაროვის ჩამოსვლა

1 ნოემბერს წყალტუბოდან ტფილისს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ლ. კომაროვი.

აკად. ვ. ლ. კომაროვი სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის სწავლულ მდივანთან პროფ. ნ. პ. ეგოროვთან ერთად მიემგზავრება ერევანში აკადემიის სომხეთის ფილიალის მდგომარეობისა და სამუშაო გეგმის გასაცნობად.

აკად. კომაროვს გათვალისწინებული აქვს უახლოეს დღეებში დაბრუნდეს ტფილისში, სადაც ის მონაწილეობას მიიღებს ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის აღსანიშნავ აკადემიის საქართველოს ფილიალის საზეიმო სხდომაში.

7 ნოემბერს აკად. ვ. ლ. კომაროვი და პროფ. ნ. პ. ეგოროვი გაემგზავრებიან ბაქოში სამეცნიერო აკადემიის აზერბეიჯანის ფილიალის გასაცნობად.

მწერალთა თათბირი

ხვალ, 4 ნოემბერს, საღამოს სრულ 8 საათზე „კომუნისტის" რედაქციაში მოწვეულია მწერალთა თათბირი.

თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი მწერლები: აბაშელი ალ., აბაშიძე ირ., აბაშიძე გრ. აფხაიძე შალვა, არსენიშვილი ალი, ახვლედიანი დარია, ბააზოვი გერცელ, ბიბინეიშვილი ბ., ბენაშვილი დიმიტრი, ბობოხიძე კ., ბუაჩიძე ბენ., ბუხნიკაშვილი გ. ბაბილინა, გაბესკირია ვ., გამსახურდია კონსტ. გაფრინდაშვილი ვ., გაწერელია აკ., გვეტაძე რაჟდენ, [illegible]

ჩაებნენ სტახანოვურ მოძრაობაში

მე-15 საშუალო სანიმუშო სკოლის მთელი პედკოლექტივი უდიდესი ენტუზიაზმით ებმება სტახანოვურ მოძრაობაში სტახანოვის მეთოდით მუშაობის საკითხი დამუშავდა პედკოლექტივის კრებაზე. მასწავლებლები და მოსწავლეები ერთსულოვნად შეუერთდნენ ტფილისის მეოთხე სანიმუშო სკოლის ინიციატივას სტახანოვურ მოძრაობაში პედაგოგების და მოსწავლეების ჩაბმისათვის.

თავის მხრივ მე-15 სკოლა, სტახანოვის მეთოდის ფართოდ დანერგვის მიზნით, სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს მე-8 სკოლას. ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებას: ა) ურყევად გავატაროთ ახალი სასკოლო შინაგანაწესი და სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 8 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე; ბ) არ დავუშვათ არცერთი შემთხვევა, რომ მასწავლებელი გაკვეთილზე მოუმზადებლად და უდღიურებოდ შევიდეს; გ) სკოლა დავუახლოვოთ მოსწავლეთა ოჯახს აღმზრდელობითი მუშაობის პროცესის სწორი ორგანიზაციისათვის; დ) შევისწავლოთ თვითეული მოსწავლე და მისი აკადემიური წარმატება მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ.

მე-15 საშუალო სანიმუშო სკ. პედ. შემადგენლობა.

ფოტო „პრავდიდან"



[illegible]

ბრძანება № 23

ქალაქ. ტფილისისა და მისი რაიონების გარნიზონს

ქალ. ტფილისი

§ 1.

ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლის თავის დღეს, ა.-წ. 7 ნოემბერს 10 საათზე ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე დანიშნულია ტფილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. ლევანდოვსკი.

§ 3.

პარადის სარდლობა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა დააკისრა ამიერ-კავკასიის საქვეითო ჯარის სკოლის უფროს ამხ. ლუნოვს.

§ 4.

პარადზე გამოყვანილი იქნას ამიერ-კავკასიის შტაბისა და საარმიო სამმართველოების უფროსთა შემადგენლობის [illegible]

[illegible]

რედაქციისაგან

[illegible]

კარტალედარი

[illegible]

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა „ჩიო-ჩიო-სან".

[illegible]

შემთხვევები

[illegible]

ვ. ფურცხვანიძე

ფოტო-აპარატით ცხაკაიას რაიონში

8. ცხაკაიას. [illegible]









ქრონიკა

[illegible]

რადიომაუწყებლობა

3 ნოემბერს. ს. ტ. ს.

[illegible]

[illegible]

ლიკვიდაცია

[illegible]

ლიკვიდაცია

[illegible]